წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ო ქ მ ი N2

ქ. წყალტუბო 21.06.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ლუკა ადეიშვილი, მანანა ჩიხლაძე, ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, დავით მესხი, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, ნიკოლოზ გურეშიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გ.ბალანჩივაძე - წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

2. ,, სიკეთის აქციაში“ საბჭოს წევრთა ინიციატივების შესახებ.

ზურაბ ჯანელიძე, მანანა ჩოგოვაძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია რომელიც აღნიშნავს, რომ განვლილ პერიოდში არაერთი ღონისძიება განხორციელდა მუნიციპალიტეტში საინჟინრო და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების, წყლის სისტემების განვითარების, საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაციის, ტერიტორიების კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის, საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და შენობა-ნაგებობების არქიტექტურული იერსახის გაუნჯობესებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამის განვითარებისათვის.

საანგარიშო პეროიდში ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 40 სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება რომელთანაგ 21 პროექტი დასრულებულია. რგფ-მა პირველ ეტაპზე დააფინანსა 8 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი. გამოყოფილი

დაფინანსების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის 10 სოფელში დასრულდა ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის 85%-იანი თანადაფინანსებით შეკეთდა 14 საცხოვრებელი კორპუსის სახურავი და სადარბაზო. სულ თანადაფინანსებით საცხოვრებელი სახლების სახურავების, სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოებისათვ ის მიმდინარე წელს 350000 ლარია გამოყოფილი (50 ათასი ლარით მეტი გასულ წელთან შედარებით).

,,განახლებული რეგიონების" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთითა და დაფინანსებით, ტაბიძის ქუჩაზე მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის, გზის გასწვრივ არსებული ტროტუარების და სივრცეების კეთილმოწყობის, გ. ტაბიძისა და აკ. შანიძის ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით ქ. წყალტუბოში დაიწყო კანალიზაციის გარეშე დარჩენილ ქუჩებში საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ მოსახლეობისათვის ეს პრობლემა მთლიანად იქნება მოგვარებული და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობას. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 25 მილიონამდე ლარია.

,,საქართველოს რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 საგრანტო პროექტი: საანგარიშო პერიოდში დასრულდა თამარ მეფის ქუჩაზე, შპს ,,ჰერბიასთან" მისასვლელი გზის ა/ ბეტონის საფარით რეაბილიტაციის (სახელშეკ. ღირებულებით - 1329754 ლარი) და ქ. წყალტუბოში ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სანიტარული წერტილების მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრ. ღირებულებით - 92278 ლარი). მიმდინარეობს სოფელ ყუმისთავში ,,გაბზარულ ტბა" - სთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (სახელშეკრ. ღირებულებით - 1047047 ლარი).

წყალტუბოს კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სივრცეების გაფართოების, სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ,, სამოქალაქო ბიუჯეტის" პროგრამის ფარგლებში შეძენილია 36 ხის ძელ სკამი წარწერით ,, წყალტუბო" და ხის 50 ცალი სანაგვე ურნა.

საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა 8 ნებართვა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, 3 ნებართვა კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობაზე, 62 ნებართვა კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყოფა - გაერთიანებაზე. ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 8 შენობა-ნაგებობა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : ზურაბ ჯანელიძემ, ედიშერ გედენიძემ, მანანა ჩოგოვაძემ, თეიმურაზ ფირცხალავამ, მანანა ჩაკვეტაძემ, ლუკა ადეიშვილმა, მარინა ჭავჭანიძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს ინფორმაცია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მიღებულ იქნა ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ,,სიკეთის აქციაში" მონაწილეობის თაობაზე, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის, შპს ,, ჰერბიას" დირექორის ზურაბ ჯანელიძის ინფორმაცია, რომელიც ინიციატივით გამოვიდა რათ ყოველთვიურად , მის ფირმაში მოყვანილი და სხვა პროდუქტებით დაეხმაროს 10 სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს.

საბჭოს წევრი, ალერგოლოგიის , ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - მანანა ჩიხლაძე ინიციატივით გამოვიდა ყოველთვიურად 3 სოციალურად დაუცველს ჩაუტაროს უფასო გამოკვლევა.

აღნიშნულ საკითხზე მუნიციპალიტეტის მერიასა და კვლევითი ინსტიტუტს შორის გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : გენადი ბალანჩივაძემ, მარინა ჭავჭანიძემ, მანანა ჩაკვეტაძემ, რომლებიც მიესალმნენ აღნიშნულ ინიციატივებს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ჯანელიძისა და საბჭოს წევრის მანანა ჩიხლაძის ინიციატივები მოწონებულ იქნას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე